

სს ლილო 1

ფინანსური ანგარიშგება მმართველობითი ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება 2018 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის



გაბრიელ ბერიძე

სს ლილო 1

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ანგარიშგებასთან დაკავშირებით და მმართველობითი ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	1
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება	2-4
ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის:	
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები	9-34
1. საერთო ინფორმაცია	9
2. არსებობის პერსპექტივა	9
3. შესაბამისობის განცხადება	10
4. ახალი და გადახედული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება	10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	13
6. ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები	21
7. შემოსავალი	22
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	23
9. ძირითადი საშუალებები	23
10. საინვესტიციო ქონება	24
11. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	25
12. ფული და ფულის ექვივალენტები	26
13. გამოშვებული კაპიტალი	26
14. სესხები და კრედიტები	27
15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	28
16. ფინანსური ინსტრუმენტები	28
17. დაკავშირებული მხარის გარიგებები	32
18. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები	32
19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	33
20. ფინანსური ანგარიშგებას დამტკიცება	34
მმართველობითი ანგარიში	35-37



გ. ბაგაჩიძე 2019 წლის 11 იანვარი

სს ლილო 1

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობების ანგარიში ფინანსური ანგარიშგებას მომზადებასა და დამტკიცებაზე და მმართველობითი ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სს ლილო 1-ის („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, და მის მიერ წარმოებული საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ფინანსური ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და გამოყენებაზე;

ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, სარწმუნო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

დამატებითი ინფორმაციის წარდგენაზე, როდესაც ფასს-ის კონკრეტული მოთხოვნების დაცვა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა მიიღონ ინფორმაცია კონკრეტული გარიგების ზემოქმედების, სხვა მოვლენების და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური ეფექტურობის შესახებ; და

კომპანიის შესაძლებლობის შეფასებაზე ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა... ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე რომლებიც საკმარისია კომპანიის გარიგებების ასახვისა და განმარტებისთვის და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და უზრუნველყოფენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას შესაბამისობას ფასს-თან;

სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათთვის ხელმისაწვდომი საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

თაღლითობისა და სხვა დარღვევების გამოვლენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის მმართველობითი ანგარიშის მომზადებისთვის თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების გარეშე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მმართველობითი ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

მმართველობითი ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავდეს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ; და

რომ მმართველობითი ანგარიშში მითითებული ინფორმაცია ყველა არსებით საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისაა აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა 2020 წლის 27 აპრილს:

ხელმძღვანელობის სახელით:

ბიბიანა გამცემლიძე
დირექტორი

27 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო



ჯგუმერ ბოხაშვილი
ფინანსური დირექტორი

27 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

სს ლილო 1-ის („კომპანია“) მფლობელებს და დირექტორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს ლილო 1-ის (შემდგომში – „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებას აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და ფინანსური ანგარიშგებას შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მამოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი თვალსაზრისით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულად ნაკადებს ამ თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების მიხედვით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში – აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელნი ვართ ზუღაღტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალ ზუღაღტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) შესაბამისად და ვასრულებთ ჩვენს სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებს IESBA კოდექსის შესაბამისად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ზუღაღტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებას შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებათან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებული ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ.

აღნიშნული პასუხისმგებლობების საფუძველზე, ჩვენ არ გვაქვს ისეთი, ინფორმაცია, რომელიც ეჭვდემარება წარდგენას.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუმი ტომავ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას („DTL“), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც „Deloitte Global“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით DTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about

© 2020 შპს დელოიტი და ტუმი. ყველა უფლება დაცულია.



ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მომზადდოს ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელსაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს საჭიროდ ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარი ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს არსებობის პერსპექტივასთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია მოცემული ქმედებისგან განსხვავებული რეალური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობებ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორის მოსაზრება, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. საფუძვლიანი რწმუნება წარმოადგენს მაღალი ხარისხის რწმუნებას, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს, ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში მივმართავთ პროფესიულ შეფასებებს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ❑ ჩვენ იდენტიფიცირებას ვახდენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის არგამოვლენის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის განზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- ❑ მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის მიზანს. ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;



- ☐ ვაკეთებთ მოსაზრებას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის წარმოების თაობაზე არსებობის პერსპექტივის პრინციპის საფუძველზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ექვემდებარებოდეს კომპანიის შესაძლებლობა - ჰქონდეს არსებობის პერსპექტივა. თუ ჩვენი მოსაზრებით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენს აუდიტორის მოსაზრებაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს არსებობის პერსპექტივა.
- ☐ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის სამართლიანად წარმოდგენის პრინციპს.



გ. ბერიძე

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

ანგარიში საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ ჩათვლის მმართველობითი ანგარიშის მომზადებისთვის თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების გარეშე.

ჩვენ შევასრულეთ პროცედურები იმასთან დაკავშირებით მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიში აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენ შევარჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები ჩვენი მსჯელობების, მათ შორის კითხვარების, დოკუმენტაციის ანალიზის და განხილვის საფუძველზე, ბანკის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიების და წარმოდგენილი ინფორმაციის შედარების საფუძველზე კანონის მოთხოვნებთან, ასევე სხვადასხვა მარეგულირებლის და სხვა ინფორმაციის გადათვლების, შედარების და შეჯერების საფუძველზე.

ჩვენი დასკვნით:

მმართველობითი ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;

მმართველობითი ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი;

მმართველობითი ანგარიში წარმოდგენილი ინფორმაცია ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

Stuart Leighton

სტუარტ ლეიტონი

შპს „დელოიტი და ტუშის“ სახელით

Deloitte & Touche

2020 წლის 27 აპრილი

თბილისი, საქართველო



გაბრიელ მამია

სს ლილო 1

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2018	2017
შემოსავალი	7	5,595	5,507
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება		(1,600)	(1,554)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1,095)	(2,747)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(1,563)	(1,289)
საოპერაციო შემოსავალი		1,337	(83)
საპროცენტო ხარჯი		(1,093)	(1,293)
საპროცენტო შემოსავალი		17	11
საკურსო სხვაობით გამოწვეული (ზარალი)/მოგება წმინდა		(655)	451
რეზერვის ხარჯები		(1,164)	-
სხვა ხარჯები, წმინდა		(6)	(52)
ზარალი მოგების გადასახადამდე		(1,564)	(966)
შემოსავალი მოგების გადასახადზე		-	-
წლის ზარალი		(1,564)	(966)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში		(1,564)	(966)

ხელმძღვანელობის სახელით:

ბიძინა გაბეგელიძე
დირექტორი

27 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

გუგუშვილი
ფინანსური დირექტორი

27 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

9-49 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებას განუყოფელ ნაწილს.



გაბეგელიძე ბიძინა

სს ლილო 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვ.	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	9	8,111	8,484	10,971
საინვესტიციო ქონება	10	3,546	3,559	3,572
არამატერიალური აქტივები		96	95	84
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,753	12,138	14,627
<i>მიმდინარე აქტივები:</i>				
მარაგები		177	162	152
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	11	641	604	526
ავანსები მომწოდებლებისთვის		23	17	22
გადახდილი გადასახადები		57	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		118	57	67
ფული და ფულის ექვივალენტები	12	1,540	590	10
სულ მიმდინარე აქტივები		2,556	1,430	777
სულ აქტივები		14,309	13,568	15,404
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი:</i>				
გამოშვებული კაპიტალი	13	15,777	15,777	15,777
გაუნაწილებელი მოგება/ (აკუმულირებული ზარალი)		(24,208)	(22,644)	(21,678)
სულ კაპიტალი		(8,431)	(6,867)	(5,901)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>				
სესხები და კრედიტები	14	-	6,666	10,843
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	6,666	10,843
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	15	1,271	150	177
მიღებული ავანსები		125	155	224
საგადასახადო ვალდებულებები		-	5	72
სესხები და კრედიტები	14	21,344	13,459	9,989
სულ მიმდინარე ვალდებულებები		22,740	13,769	10,462
სულ ვალდებულებები		22,740	20,435	21,305
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,309	13,568	15,404

ბელმმღგანელობის სახელით:

ბიძინა გამცვილიძე
დირექტორი

27 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

ჯემურ ბონაშვილი
ფინანსური დირექტორი

27 აპრილი 2020

თბილისი, საქართველო

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებას განუყოფელ ნაწილს..



სს ლილო 1

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

	გამომცემული კაპიტალი "ა"	უშუალოდ შეყვანილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	15,777	(21,678)	(5,901)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	(966)	(966)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	15,777	(22,644)	(6,867)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში	-	(1,564)	(1,564)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	15,777	(24,208)	(8,431)

ხელმძღვანელობის სახელით:

ბიძინა გამცემლიძე
დირექტორი

27 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

გუმბერ ბიზაშვილი
ფინანსური დირექტორი

27 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

9-49 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებას განუყოფელ ნაწილს.



სს ლილო 1

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას ლარში)

შენიშვნა	2018	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან	6,442	6,268
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	(1,370)	(1,168)
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(1,264)	(1,180)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	3,808	3,920
ოპერაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები	(284)	(316)
გადახდილი პროცენტი	(1,346)	(1,444)
გადახდილი გადასახადები, წმინდა		
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2,178	2,160
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	14	7
მიღებული პროცენტი	2	-
შემოსავლები არამატერიალური აქტივების გასხვისებიდან	(988)	(299)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(972)	(292)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-	4,265
შემოსავლები სესხებიდან	(277)	(5,572)
სესხების დაფარვა		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან	(277)	(1,307)
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა (კლება)/ზრდა	929	561
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	590	10
კურსის ცვლილების გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	21	19
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	1,540	590

ხელმძღვანელობის სახელით

ბიძინა ჯანცელაძე
დირექტორი

27 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

ჯუმბერ ბუნაძე
ფინანსური დირექტორი

27 აპრილი 2020
თბილისი, საქართველო

9-49 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგებას განუყოფელ ნაწილს.



გაბრიელ ქაჯიშვილი

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ლილო 1 ("კომპანია") დაფუძნდა 2006 წლის 28 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწყობების და საბაჟო ტერმინალების იჯარით გაცემა და სასაწყობო მომსახურებების უზრუნველყოფა.

2017, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ს ფლობს Linnaeus Capital Partners B.V. და კომპანიის საბოლოო მფლობელი იყო ნატალია ზოლოტოვა 100% საკუთრების წილით Linnaeus Capital Partners B.V.-ში.

კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, იუმანგვის ქუჩა #14.

2018, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია 85, 90 და 85 თანამშრომელი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემად 2020 წლის 27 აპრილს ხელმძღვანელობის მიერ.

2. არსებობისპერსპექტივა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე

კომპანიას აქვს არსებობის პერსპექტივა და გააგრძელებს საქმიანობას მომავალში. რაც გულისხმობს, რომ კომპანია შეძლებს თავისი აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების შესრულებას ჩვეულებრივ საქმიანობის რეჟიმში. შეფასებისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული მიზნები, საქმიანობის მომგებიანობა და წედომა ფინანსურ რესურსებზე და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მის მიმდინარე აქტივებს 20,184 ათასი ლარით, კომპანიას მიაღწა წმინდა ზარალი 1,564 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აკუმულირებული ზარალი 24,208 ათასი ლარის ოდენობით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგებას მომზადება არსებობის პერსპექტივის საფუძველზე მიზანშეწონილია შემდეგის გამო:

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან სესხებს, რომელიც შეადგენს 17,507 ათას ლარს Linnaeus Capital Partners B.V.-ს მიმართ, საიდანაც კომპანიამ მიიღო მხარდაჭერის წერილი. წერილში მითითებულია ვალდებულება სს ლილო 1-ის სახელშეკრულებო ვალდებულებების დაფინანსების შესახებ, საჭიროების წარმოშობის და იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარეებისგან მოზიდული სახსრები არ იქნება საკმარისი კომპანიის საქმიანობების და ვალდებულებების დასაფარად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს არსებობის პერსპექტივა ფინანსური ანგარიშგებას გამოშვებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში.

ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ კომპანიის აქციონერებმა დაიწყეს მოლაპარაკებები მესამე მხარეებთან სს ლილო 1-ის გაყიდვის თაობაზე. 2019 წლის 27 ივნისს შპს GDI ხელი მოაწერა წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას Linnaeus Capital Partners B.V.-თან სს ლილო 1-ის 15,777 (100%) აქციის 50%-ის შეძენის მიზნით, რომელსაც ფლობს Linnaeus Capital. საკონტრაქტო ხელშეკრულების შესაბამისად შპს GDI შეიძინა 7,888 აქცია (49.99683%) და დანარჩენი 7,889 აქცია (50.00317%) იყიდა შპს Sharm Trading-მა.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

გარდა ამისა, 2019 წლის 10 ივლისს სს ლილო 1-ის აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება დამატებითი 4,059 ჩვეულებრივი აქციის გამოშვების შესახებ, 1 დამატებითი აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 ლარს. 4,059 აქციიდან 2,030 აქცია შეიძინა შპს GDI-მ. აქციების დამატებითი გამოშვების შედეგად, ორივე მხარე, შპს GDI და შპს Sharm Trading, ფლობს ზუსტად თანაბარი რაოდენობის აქციებს. გაყიდვამ შექმნა დამატებითი ფულადი რესურსები კომპანიის ძირითადი საქმიანობის მხარდასაჭერად. შპს GDI მიერ შესყიდვის შედეგად, 14,691 ათასი ლარის სესხი, რომელიც მიღებულია Linnaeus Capital Partners B.V.-გან, სრულად დაიფარა.

კომპანიამ მიიღო მხარდაჭერის წერილი ახალი აქციონერებისგან შპს GDI და შპს Sharm Trading. წერილში მითითებულია ვალდებულება სს ლილო 1-ის სახელშეკრულებო ვალდებულებების დაფინანსების შესახებ, საჭიროების წარმოშობის და იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარეებისგან მოზიდული სახსრები არ იქნება საკმარისი კომპანიის საქმიანობების და ვალდებულებების დასაფარად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს არსებობის პერსპექტივა ფინანსური ანგარიშგებას გამოშვებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში.

ახალი აქციონერები თვლიან, რომ მოკლე ვადაში კომპანია აპირებს გაზარდოს თავისი ოპერაციები და შეძლებს ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრას, თავისი მომავალი ოპერაციების დაფინანსებას და საკმარისი მოგების გამოშვებას.

2020 წლის დასაწყისში მთელ მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19) და 2020 წლის მარტი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემიის სტატუსი მიანიჭა. COVID-19 -ის ზემოქმედების მნიშვნელობა კომპანიის საქმიანობაზე ფართოდ არის დამოკიდებული პანდემიის ხანგრძლიობაზე და ფარგლებზე და მის ზემოქმედებაზე მსოფლიოზე და საქართველოს ეკონომიკაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს კორექტირებებს აღდგენის შესაძლებლობებთან დაკავშირებით და აღრიცხული აქტივების კლასიფიკაციასთან და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს არსებობის პერსპექტივა.

3. შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს („ფასს“). კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. კონკრეტული გამოწვევების საფუძველზე, ფასს 1 მოითხოვს სტანდარტების და ინტერპრეტაციების იმ ვერსიის რეტროსპექტულ გამოყენებას, რომელიც ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. ეს ვერსია გამოყენებული იქნა ფასს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების მომზადებისას 2017 წლის 1 იანვარს და მომდევნო პერიოდებში მსს-ს პირველი ფასს ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოწვევების გაკეთება, როგორც ნებადართულია ფასს 1 მიხედვით, გამოიყენოს პირველადი ღირებულება ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ღირებულებად 2017 წლის 1 იანვრის მიღების თარიღისთვის. ეს ვერსია იქნა გამოყენებული ფინანსური მდგომარეობის ფასს ანგარიშგების მომზადებისას 2017 წლის 1 იანვარს და მომდევნო პერიოდებში პირველი ფასს ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

ფასს-ის ხელახლა მიღება – კომპანია დაფუძნდა 2006 წლის 28 დეკემბერს. კომპანიამ გამოიყენა შეფასების მეთოდი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის თავის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად 2006 და 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2007 წლიდან კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ იყო აუდირებული გარეშე აუდიტორის მიერ და ფინანსური ანგარიშგება არ იყო მომზადებული, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მფლობელებისთვის ან გარეშე მხარეებისთვის, როგორცაა ინვესტორები ან კრედიტორები 2007 წლიდან. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ფასს-ის გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს და დაიქირავა შემფასებლები თავისი ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად და პირველადი ღირებულების გამოსაყენებლად 2017 წლის 1 იანვარს. ხელმძღვანელობამ გამოიყენა ოფიონი ფასს 1 -ის გამოყენებისა ფასს-ზე გადასვლის მიზნით 2017 წლის იანვარში, სრული ფასს გამოყენების მიზნით 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. შესაბამისად კომპანიას არ მოეთხოვებოდა და არ მოამზადა ფინანსური ინფორმაცია ადგილობრივი GAAP-ის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არ არის GAAP-ის ფასს-თან შეჯერების მონაცემები.

4. ახალი და შემოწმებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება

2018 წელს, მიღებულია შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები.

- ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები;



გეორგიის მთავრობის

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

- ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და დაკავშირებული განმარტებები);
- ფასს 2 (შესწორებები) აქციაზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება;
- ბასს 40 (შესწორებები) საინვესტიციო ქონების გადაცემა;
- წლიური გაუმჯობესებები ფასს სტანდარტებში 2014 – 2016 ციკლი;
- შესწორებები ბასს 28-ში - გრძელვადიანი ინტერესები ასოცირებულ პირებში და ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს 22 უცხოურ ვალუტაში გარიგებები და ი განხილვები.

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 და ფასს 9. აღნიშნული ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღების შედეგად წარმოქმნილი ცვლილებების ეფექტი და ბუნება აღწერილია ქვემოთ.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები ცვლის ბასს 39-ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, და აერთიანებს ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებით აღრიცხვის სამივე ასპექტს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 9 თავდაპირველი გამოყენების თარიღით - 2017 წლის 1 იანვარი.

ფასს 9-ის მიღებამ შეცვალა კომპანიის მიერ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის აღრიცხვა ბასს 39-ის შეცვლით გაწეული ზარალის მიდგომა მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მიდგომით. ფასს 9 მოითხოვს კომპანიამ აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა სავალო ინსტრუმენტზე, რომელიც არ არის ფლობილი სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში და საკონტრაქტო აქტივებში.

ფასს 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 ცვლის ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტები, ბასს 18 შემოსავლები და დაკავშირებული ინტერპრეტაციები და გამოიყენება (შეზღუდული გამონაკლისებით) ყველა შემოსავალზე, რომელიც მიღებულია კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. ფასს 15 განსაზღვრავს ხუთ ეტაპთან მოდელს იმ შემოსავლის აღრიცხვისთვის, რომელიც წარმოიქმნა კლიენტებთან კონტრაქტების შედეგად და მოითხოვს, რომ შემოსავლები აღიარებული იყოს იმ მოცულობით, რომელიც ასახავს თანხას, რომელსაც ორგანიზაცია მიიღებს კლიენტისთვის საქონლის გადაცემისა და მომსახურებების გაწევის სანაცვლოდ.

ფასს 15 მოითხოვს საწარმოებმა გამოიყენონ შეფასება ყველა რელევანტური ფაქტის და გარემოების გათვალისწინებით, მოდელის თითოეული ეტაპის გამოყენებისას კლიენტებთან კონტრაქტების გაფორმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სტანდარტი ასევე მიუთითებს კონტრაქტების მოპოვების დამატებითი ხარჯების და კონტრაქტის შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვას. გარდა ამისა აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 15 თავდაპირველი გამოყენების თარიღით - 2017 წლის 1 იანვარი.

კომპანიამ არ გამოიყენა შემდეგი ახალი და გადახედული ფასს, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული:



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

- ფასს 16 იჯარები¹;
 - ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები²;
 - შესწორებები ფასს 9-ში გადახდის თავისებურებები უარყოფითი კომპენსაციით¹;
 - შესწორებები ბასს 28-ში, გრძელვადიანი ინტერესები ასოცირებულ პირებში და ერთობლივ საწარმოებში³;
 - წლიური გაუმჯობესებები ფასს სტანდარტებში 2015–2017 ციკლი¹;
 - შესწორებები ბასს 19-ში, თანამშრომელთა სარგებელი³;
 - ფასს 23 გაურკვევლობა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმში⁴;
 - ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (ცვლილებები)^{5, 1}
ძალაშია წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ვადამდე გამოყენების უფლებით.
- ² ძალაშია წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ნებადართულია ვადამდე გამოყენება.



გაბრიელ ქაიკაძე

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

³ ძალაშია წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ვადამდე გამოყენების უფლებით.

⁴ ძალაშია წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, სრული რეტროსპექტული გამოყენების ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენების უფლებით, წარსული ან მომავალი პერიოდების შედარებითი მაჩვენებლების ხელახლა ფორმულირების გარეშე.

⁵ ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ბასს-ის საფუძველზე; თუმცა დაშვებულია ვადამდე გამოყენება.

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 ითვალისწინებს სრულ მოდელს იჯარის ხელშეკრულებების იდენტიფიკაციისთვის და მათი განხილვისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც მოიკარეებისთვის, ასევე მეიჯარეებისთვის. ფასს 16 შეცვლის არსებულ საიჯარო სახელმძღვანელო პრინციპს, მათ შორის ბასს 17-ს - იჯარები - და დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, როდესაც ძალაში შევა სააღრიცხვო პერიოდებში, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, ჯგუფისთვის ფასს 16-ის პირველი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა შეარჩია ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება ფასს 16:C5(8) შესაბამისად. შედეგად ჯგუფი არ მოახდენს შედარებითი ინფორმაციის ხელახლა ფორმულირებას. ჯგუფი გამოიყენებს პრაქტიკულ მიდგომას ფასს 16-ზე გადასვლისას, ხელახლა შეფასების გარეშე მოიცავს თუ არა კონტრაქტი იჯარას.

ფასს 16 ანხვავებს იჯარების და მომსახურების კონტრაქტებს იმის საფუძველზე კონტროლდება თუ არა იდენტიფიცირებული აქტივები კლიენტის მიერ. საოპერაციო იჯარების (ბალანსგარეშე) და ფინანსური იჯარების განხვავება (საბალანსო) ამოღებულია მოიჯარის აღრიცხვისთვის და შეცვლილია მოდელით, სადაც გამოყენების უფლების მქონე აქტივები და შესაბამისი ვალდებულებები აღიარებული უნდა იქნას ყველა იჯარად მოიჯარეების მიერ (ე.ი. ყველა საბალანსო ანგარიშგებაზე) მოკლევადიანი იჯარების და დაბალი ღირებულების აქტივების მქონე იჯარების გარდა.

გამოყენების უფლების ფორმით აქტივები თავდაპირველად შეფასებულია თვითღირებულებით და შემდეგ თვითღირებულებით (კონკრეტული გამოწვევების საფუძველზე), მინუს აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, რომელიც კორექტირებულია საიჯარო ვალდებულების ხელახლა გამოთვლაზე. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც არ არის გადახდილი აღნიშნული თარიღისთვის. შედეგად საიჯარო ვალდებულება კორექტირებულია პროცენტზე და საიჯარო გადახდებზე, ასევე იჯარის მოდიფიკაციების ზემოქმედებაზე. გარდა ამისა თითოეული ნაკადის კლასიფიკაციაზე ასევე ზემოქმედება მოხდება, როგორც საოპერაციო იჯარის გადახდები ბასს 17-ის შესაბამისად წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ფულადი ნაკადები; ვინაიდან ფასს 16 მოდელის შესაბამისად იჯარის გადახდები დაიყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად, რომელიც წარმოდგენილი იქნება, როგორც ფინანსური და საოპერაციო ფულადი სახსრები.

მოიჯარის აღრიცხვის საწინააღმდეგოდ, ფასს 16 არსებითად გადაიტანს მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნებს ბასს 17-ში და მოითხოვს მეიჯარემ მოახდინოს იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარაში ან ფინანსურ იჯარაში.

გარდა ამისა, ფასს 16 მოითხოვს ინფორმაციის ფართოდ გამჟღავნებას.

ხელმძღვანელობამ დაასრულა თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე პოტენციური ზემოქმედების თავდაპირველი შეფასება, თუმცა ჯერ კიდევ არ დაუსრულებია დეტალური შეფასება. თავდაპირველი შეფასების საფუძველზე კომპანია თვლის, რომ ფასს 16-ის გამოყენება მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

შესწორებები ფასს 9-ში - ი გადახდის თავისებურებები უარყოფითი კომპენსაციით

ფასს 9-ის ცვლილებები განმარტავს, რომ შეფასების მიზნებისთვის, აკმაყოფილებს თუ არა გადახდის მახასიათებლები SPPI პირობას, მხარე, რომელიც იყენებს აღნიშნულ ოფციონს, შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს კომპენსაცია ი გადახდისთვის გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვაგვარად გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით ავტომატურად არ შეესაბამება SPPI.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფასს 9-ის გამოყენება მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ში 2015-2017 ციკლი

ცვლილებები ფასს-ში, რომელიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებზე

წლიური გაუმჯობესებები მოიცავს ცვლილებებს ოთხ სტანდარტში: ცვლილება ფასს 3-ში ბიზნესის გაერთიანება, ფასს 11 ერთობლივი შეთანხმებები, ბასს 12 მოგების გადასახადები და ბასს 23 სასესხო ხარჯები. ცვლილებები ბასს 12-ში განმარტავს, რომ საწარმომ უნდა აღიაროს დივიდენდების მოგების გადასახადების შედეგები მოგება-ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში ან კაპიტალში, რომლის შესაბამისად კომპანიამ თავდაპირველად აღიარა ტრანზაქციები, რომელიც წარმოქმნის გასანაწილებელ მოგებას. იმისდა მიუხედავად გამოიყენება თუ არა სხვადასხვა საგადასახადო განაკვეთები განაწილებულ და გაუნაწილებელ მოგებებზე. ცვლილებები ბასს 23-ში განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული სესხები დარჩება დაუფარავი მას შემდეგ, რაც დაკავშირებული აქტივები მზად არის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად, სესხები გახდება სახსრების ნაწილი, რომელსაც საწარმო სესხულობს კაპიტალიზაციის განაკვეთის გამოსათვლელად საერთო სესხებზე.

ცვლილებები ფასს 3-ში განმარტავს, რომ საწარმო მოიპოვებს ბიზნესის კონტროლს, რომელიც არის ერთობლივი საქმიანობა, საწარმო იყენებს მოთხოვნას ბიზნესის გაერთიანებაზე, რომელიც მიიღწევა ეტაპებად, მათ შორის მანამდე ფლობილი წილის (PHI) ხელახლა გამოთვლა ერთობლივ საქმიანობაში სამართლიანი ღირებულებით. PHI, რომელიც თავიდან უნდა იქნას შეფასებული, მოიცავს არაღიარებულ აქტივებს, ვალდებულებებს და გუდვილს ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ცვლილებები ფასს 11-ში განმარტავს, რომ როდესაც მზარე, რომელიც მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში, მაგრამ არ აქვს საერთო კონტროლი საერთო საქმიანობაში, რომელიც არის კომპანია, მოიპოვებს საერთო კონტროლს, საწარმო ხელახლა არ შეფასებს თავის PHI საერთო საქმიანობაში.

ყველა ცვლილება ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ და ზოგადად მოითხოვს პერსპექტიულ გამოყენებას. დაშვებულია ვადამდე გამოყენება.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული ცვლილებების გამოყენება მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 გაურკვეველობა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმში

ფაისკ 23 მიუთითებს როგორ უნდა განისაზღვროს სააღრიცხვო საგადასახადო პოზიცია, როდესაც არსებობს გაურკვეველობა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმში. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ:

- განსაზღვროს გაურკვეველობები საგადასახადო პოზიციებში შეფასებულია ცალკე თუ ჯგუფის სახით; და
- შეაფასოს შესაძლებელია თუ არა რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, რომელიც გამოიყენება ან შეთავაზებულია გამოიყენოს საწარმომ თავის მოგების გადასახადის დეკლარაციებში:



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, საწარმომ უნდა აგანსაზღვროს თავისი სააღრიცხვო საგადასახადო პოზიცია საგადასახადო რეეიშის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება ან დაგეგმილია გამოყენებული იქნას მოგების გადასახადის დეკლარაციებში.
- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საწარმომ უნდა ასახოს გაურკვევლობის ეფექტი თავისი სააღრიცხვო გადასახადის პოზიციაში.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული ცვლილებების გამოყენება მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მოზადების საფუძველი - კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოზადდა ფინანსური ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ და ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ფინანსური ანგარიშგებას ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტების ("IFRIC") მიერ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებას მოზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მითითებულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებას მოზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანიას აქვს არსებობის პერსპექტივა და გააგრძელებს საქმიანობას მომავალში.



გაბრიელ ქაიკაძე

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (GEL) თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თავდაპირველი ღირებულებების საფუძველზე.
თავდაპირველი ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების გაცვლის ანაზრაურების სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული ერთეულები იზომება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც კომპანია ოპერირებს („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას წარმოადგენლობითი ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ჩათვლილია და წმინდა თანხა აღრიცხულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის იურიდიული უფლება და წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორების განზრახვა ან ერთდროულად აქტივების რეალიზების და ვალდებულებების შესრულების უფლება. შემოსავალი და ხარჯი არ არის ჩათვლილი მოგება-ზარალში თუ არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის სააღრიცხვო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და სპეციალურად გამჟღავნებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მითითებულია ქვემოთ:

შემოსავლის აღიარება. კომპანია უზრუნველყოფს საწყობების იჯარით გაცემას, ლოგისტიკის და შენახვის მომსახურებას. ლოგისტიკა მოიცავს სატვირთოს შესვლას და ტვირთის დატვირთვას და გადმოტვირთვას საწყობში.

კომპანია აღიარებს ვალდებულების შესრულებას ყველა შემდეგ შეთავაზებასთან დაკავშირებით, ლოგისტიკის მომსახურების გარდა, რომელიც აღიარებულია დროის მომენტში.

შემოსავალი აღიარებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები ანაზრაურების სამართლიანი ღირებულებით. გაყიდვების პირობების საფუძველზე შემოსავლების რაოდენობა შემცირდა ღირებულების ან მოცულობის შემცირებით და ფასდაკლებებით, რომლებიც შეთავაზებულია დილერებისთვის ან გაყიდვის პუნქტებისთვის.

შემოსავალი იჯარიდან

ჯგუფის პოლიტიკა შემოსავლების აღიარებასთან დაკავშირებით საოპერაციო იჯარებიდან აღწერილია ქვემოთ.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი

დივიდენდის შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარებულია, როდესაც განსაზღვრულია მფლობელის უფლება მიიღოს გადახდა (იმ პირობით, რომ სავარაუდოდ ეკონომიკური სარგებელი მიეძინება ჯგუფში და შესაძლებელი იქნება შემოსავლის თანხის სარწმუნოდ შეფასება).

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარებულია როდესაც სავარაუდოდ ეკონომიკური სარგებელი მიეძინება ჯგუფში და შესაძლებელი იქნება შემოსავლის თანხის სარწმუნოდ შეფასება. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება პერიოდულად, დაუფარავი ძირის მითითებით და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელი განაკვეთიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი შემოსავლების დისკონტირებას ფინანსური აქტივის მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადაში აღნიშნული აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებებში თავდაპირველი აღიარებისას.

იჯარა - იჯარები ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

კომპანია, როგორც მეთჯარე

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იჯარით არებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სქემას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო იჯარიდან წარმოქმნილი პირობითი გადასახდელები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად შეღავათების მიღების შემთხვევაში, ამგვარი შეღავათები აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების მთლიანი სარგებელი წრფივად აღიარდება, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს იჯარით მიღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ვადას.

უცხოური ვალუტები | ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფილიალის ფუნქციონალურ ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დაწესებული გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი ერთეულები ადგილობრივ ვალუტაში კონვერტირდება იმ დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი ერთეულები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ დღეს დადგენილი კურსით, როდესაც სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა. ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში ასახული არაფულადი ერთეულები არ კონვერტირდება.

ფულად ერთეულებზე საკურსო სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება მათი წარმოშობის პერიოდში.

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ლარი/აშშ დ	2.6766	2.5922	2.6468
ლარი / ევრო	3.0701	3.1044	2.7940

სასესხო ბარჯები – სასესხო ბარჯები პირდაპირ უკავშირდება მშენებარე კვალიფიციური აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომელ აქტივებსაც სჭირდება მნიშვნელოვანი დრო მიზნობრივი გამოყენებისთვის ან გასაყიდად მომზადებისთვის, ემატება აღნიშნული აქტივების ხარჯს იმ დრომდე, სანამ აქტივები არსებითად მზად არ ჩაითვლება მიზნობრივი გამოყენებისთვის ან გაყიდვისთვის.

ყველა სხვა სასესხო ბარჯები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გაწევა.

მოგების გადასახადი – 2016 წელს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება არსებულ კორპორატიული დაბეგერის მოდელში, რომელიც ცვლილებებიც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა საწარმოსთვის, კონკრეტული ფინანსური დაწესებულებების გარდა. შეცვლილი მოდელი გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15% კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე, წინა მოდელთან შედარებით, რომელიც ითვალისწინებდა 15% საგადასახადო განაკვეთს კომპანიის მოგებაზე დაბეგერამდე, განაწილების სტატუსის მიუხედავად.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, რომელიც ვრცელდება კომპანიაზე და საგადასახადო ზაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, ასევე პირობით მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს: განაწილებული მოგება;



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
საქონლის / მომსახურებების უფასო მიწოდება და/ან სახსრების გადარიცხვა; და

წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელიც აღემატება საგადასახადო კოდექსში განსაზღვრულ
მაქსიმალურ თანხას.

მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე აღირებულია როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების
მომენტში აღრიცხულია „მოგების გადასახადის“ ნაწილში მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიმდინარე
საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებში აღრიცხულია იმ
ოდენობით, რომელიც სავარაუდოდ მიიღება საგადასახადო ორგანოებიდან ან გადაეხდება საგადასახადო
ორგანოებს.

გადასახადი, რომელიც არ არის დაწესებული განაწილებულ მოგებებზე, როგორც აღწერილია ზემოთ,
აღრიცხულია, როგორც „გადასახადები და მოსაკრებლები“ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ახალი კანონმდებლობის შედეგად კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების
გამომუშავებისას და მოგების გადასახადის ხარჯს გაწევს მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა
გადავადებული საგადასახადო ნაშთი აღიარებული იქნება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2016 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისათვის პერიოდში.



გაბრიელ ჯიბლაძე

სს ლილი 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და/ან გაუფასურებით გამოწვეული აკუმულირებული ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება მოიცავს (ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებლებს და დაუბრუნებელ შესყიდვის გადასახადებს, სავაჭრო ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ; (ბ) ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის იმ ადგილას და მდგომარეობაში მოყვანასთან, რომ შესაძლებელი იყოს მისი ოპერირება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით; (გ) ობიექტის დემონტაჟის და გატანის და იმ ადგილის აღდგენის ხარჯებს, სადაც ასეთი ობიექტებია განთავსებული; (დ) ვალდებულებას, რომელსაც ირებს კომპანია ერთეულის შეძენისას ან გამოყენების შედეგად კონკრეტულ პერიოდში, მხოლოდ არა იმისათვის, რომ აწარმოოს ინვენტარიზაცია მოცემულ პერიოდში; და (ე) საკვალიფიკაციო აქტივთან დაკავშირებით სასესხო ხარჯებს, რომელიც კაპიტალიზებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

შემდგომ კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს მსხვილ დანახარჯებს გაუმჯობესებისა და შეცვლისთვის, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების გამოყენების ვადებს ან ზრდის მათ შემოსავლების გამომუშავების შესაძლებლობას. სარემონტო და ტექნიკური მომსახურებების ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაწევის დროს.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება იმისათვის, რომ ჩამოიწეროს ამორტიზირებული ღირებულება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაში და გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	წლები
შენიშვნები	20-50
მანქანა დანადგარები	5-15
ტრანსპორტი	5
საოფისე მოწყობილობა	5
სხვა ფიქსირებული აქტივები	3

საკუთარი მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

საამორტიზაციო ღირებულება არის ძირითადი საშუალებების კომპონენტის ღირებულება, მინუს ნარჩენი ღირებულება. აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს კომპანიამ ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან, მინუს გასხვისების საორიენტაციო ხარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ნებისმიერი ცვლილების ეფექტი წინა შეფასებებიდან ითვლება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში, მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების კომპონენტის გაყიდვის ან გასხვისების საფუძველზე, განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის რეალიზაციის შემოსავლებსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. მიმდინარე მშენებლობის ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ე.ი. როდესაც აქტივი იმ ადგილას და პირობებში იმყოფება, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ შეძლოს ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ფორმით.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

საინვესტიციო ქონება საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად, კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის ან ორივე მიზნით, მათი გამოყენება ა არ ხდება კომპანიის მიერ. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

გაუფასურების ანალიზის და გამელაგების მიზნებისთვის, კომპანია განსაზღვრავს საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულებას შიდა ან გარე ფარგლებში დამოუკიდებელი კვალიფიციური შემფასებლების მონაწილეობით. კომპანია ფლობს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას საინვესტიციო ქონების შეფასებისთვის.

საინვესტიციო ქონება არ აღიარდება გასხვისების ან როდესაც საინვესტიციო ქონება მუდმივად ამოღებულია ხმარებიდან მისი გასხვისებით მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასხვისებიდან ან ჩამოწმებიდან აღიარებულია მოგება ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში გასხვისების ან ჩამოწმების წლის განმავლობაში. საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება იმისათვის, რომ ჩამოიწეროს ამორტიზირებული ღირებულება აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაში და გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საინვესტიციო ქონების შენობის გაუფასურების კოეფიციენტი შეადგენს 2%-ს. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდოდ ხარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შეეძინება კომპანიაში და შესაძლებელი იქნება ხარჯის სარწმუნოდ გამოთვლა. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი აღირიცხება მათი გაწევისას. გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება შემოსავლებში.

აქტივების გაუფასურება - თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია გადახედავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის ნებისმიერი ნიშნის არსებობის დადგენის მიზნით. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ხორციელდება აქტივის ჩანაცვლების ღირებულების შეფასება გაუფასურების ზარალის (თუ ასეთი არსებობს) ოდენობის შესაფასებლად. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ჩანაცვლებითი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGU) ჩანაცვლებითი ღირებულებას, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება. როდესაც შესაძლებელი იქნება განაწილების სათანადო საფუძვლის დადგენა, კორპორატიული აქტივები ასევე განაწილდება ფულადი სახსრების მაგენერირებელ ერთეულებზე ან სხვაგვარად განაწილდება ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულების უმცირეს ჯგუფებზე, რომელზეც შესაძლებელია განაწილების სათანადო საფუძვლის დადგენა.

ჩანაცვლების ღირებულება აღემატება სამართლიან ღირებულებას გამოყენების ღირებულების და სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას ხორციელდება შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომელზეც არ განხორციელდა მომავალი ფულადი ნაკადების შეფასების კორექტირება.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის) ჩანაცვლებითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ჩანაცვლებითი ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია უშუალოდ მოგება-ზარალში.

როდესაც გაუფასურების ზარალი შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ჩანაცვლების ღირებულების შეფასების შესაბამისად, მაგრამ იმგვარად, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატება საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაუფასურების ზარალი არ იქნებოდა აღიარებული აქტივისთვის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულისთვის) წინა წლებში.

გაუფასურების ზარალის შებრუნება უშუალოდ აღიარებულია მოგება-ზარალში.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - გაზომვის ძირითადი პირობები - კლასიფიკაციიდან გამომდინარე ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებისას სათანადო ტრანზაქციაში გაზომვის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს, იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ გაზომვის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც ხდება გარიგებები აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით სათანადო სიხშირით და მოცულობით ფასის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასებები იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ სამართლიანი ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებლები არიან ისინი სამართლიანი ღირებულების მთლიანი მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს

მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და

მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ფინანსური ინსტრუმენტი ითვლება კოტირებულად აქტიურ ბაზარზე, თუ რეგულარულად ხელმისაწვდომია კოტირებული ფასები საფონდო ან სხვა დაწესებულებებიდან და ეს ფასები წარმოადგენს ფაქტობრივ რეგულარულ საბაზრო გარიგებებს კომერციულ საფუძველზე.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი ან დამოუკიდებელ მხარეებს შორის ბოლოდროინდელ გარიგებებზე დაფუძნებული მეთოდები ან ინვესტიციის მიმღების შესახებ ინფორმაციის გათვალისწინება, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებთან დაკავშირებითაც უცხოური ბაზრების ფასების შესახებ არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია. შეფასების მეთოდები შესაძლოა ითვალისწინებდეს დაშვებას, რომელიც არ არის გამყარებული საბაზრო მონაცემებით. ინფორმაციის გამჟღავნება მოხდება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი ასეთი დაშვების ცვლილება შესაძლოა ალტერნატივაში, განაპირობებს მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, საერთო აქტივებს ან საერთო ვალდებულებებს.

გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯებია ის ხარჯები, რომლებიც არ შეიძლება გაწეული იქნეს, თუ არ ხორციელდება გარიგება. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (იმ თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩეველებისთვის, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საკომისიოსა და ანაზღაურებას, მარეგულირებელი სააგენტოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს და გადარიცხვის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიებს ან ფასდაკლებებს, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულან მარაგების შენახვის ხარჯებს.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

ამორტიზებული ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვა მოხდა ძირითადი თანხის გადახდების გამოკლებითა და დარიცხული პროცენტის მიმატებით, ხოლო ფინანსური აქტივებისათვის, გაუფასურების ზარალის შემთხვევაში ჩამოწერების გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული ტრანზაქციის ხარჯებისა და პრემიებისა თუ შეღავათების ამორტიზაციას, რომელიც ერიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული ფასდაკლება ან პრემია (მათ შორის, წარმოშობისას გადავადებული საკომისიოები) ინდივიდუალურად არ ტარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში შედის შესაბამისი ერთეულების საბალანსო ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე, ისე რომ მოხდეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) შენარჩუნება საბალანსო ღირებულებაზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ხდება ცვალებადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი სახსრების დისკონტირება პროცენტის შემდგომ გადათვლის დღემდე. აღნიშნული არ ვრცელდება პრემიებზე და ფასდაკლებებზე, რომლებიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტში მითითებულ მცურავ კურსზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც არ ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. ამგვარი პრემიები და ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი სავარაუდო ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას მხედველობაში მიიღება ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო იმ კონტრაქტის მხარეებს შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომელიც წარმოქმნის ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს და ფინანსურ ვალდებულებას ან სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსურია აქტივების საკონტრაქტო ფულადის ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე მათი მართვის მიზნებისთვის. კომპანია ზომავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი პირობები:

ფინანსური აქტივი ფლობილია ისეთ ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია „ფინანსური აქტივის ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“,

და

ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ფულადი სახსრების საფუძველს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის“ (SPPI) კრიტერიუმს ძირ თანხაზე.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათას ლარში)

ეს შეფასება მითითებულია, როგორც SPPI ტესტი და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ბიზნეს მოდელის შეფასება განხორციელდა ფასს 9-ის თავდაპირველი მიღების დღეს - 2017 წლის 1 იანვარს. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და კომპანიის მიერ შესრულებული ოპერაცია არის სასაწყობო, შენახვის და ლოჯისტიკის მომსახურებებიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი. ეს არის კომპანიის მთავარი მიზანი და რეგულარული საქმიანობა. ისტორიულად კომპანიას არასოდეს გაუყვია თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. წარსული გამოცდილების საფუძველზე ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და კლასიფიცირებულია პირველ ბიზნეს მოდელში - ამოსაღებად ფლობილი (H2C). კომპანიის ფულადი ნაკადები სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებებიდან გადის SPPI ტესტს, რადგან აღნიშნულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე არ არის საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია წყვეტს ფინანსურ აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივი გამოსყიდულია ან აქტივისგან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე ან დადო სპეციალური ტრანზიტული შეთანხმება, რომლის თანახმად (i) კომპანიამ გადასცა აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი ან (ii) კომპანიას არ გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივების ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, და მათზე კონტროლი.

კონტროლი წარჩუნდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს პრაქტიკულად არ შეუძლია სრულად მიყიდოს აქტივი არადაკავშირებულ მესამე მხარეს, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს აქვს შეფასების შემდეგი კატეგორიები: (ა) სავაჭროდ ფლობილი, რომელიც ასევე მოიცავს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ ფლობილი ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებული ღირებულების ცვლილებებით წლის განმავლობაში (როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემები მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელიც შესაბამისი წესების ან ბაზრის შესახებ კონვენციის („სტანდარტული წესით“ ყიდვა-გაყიდვა) თანახმად მოითხოვს დადგენილ ვადებში მიწოდებას, აღირიცხება გარიგების დღით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს თარიღს, როდესაც კომპანია იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა სახის შესყიდვების აღიარება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.



ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ე.ი. როდესაც კონტრაქტში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება). როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება შეიცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორისგან არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად მოდიფიცირდება, ასეთი შეცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს და სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს.

ფული და ფულის ექვივალენტები – ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ბანკებში დეპონირებულ ფულს, შეზღუდულ ფულად სახსრებს, გაგზავნილ ფულად სახსრებს, დეპოზიტებს მათი დაუყოვნებლივ მოთხოვნის ოფციონით ღირებულების ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის გარეშე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარებულია შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი, მითითებულია ნომინალური ღირებულებით. შეფასებული აუნაზღაურებელი თანხების რეზერვები აღიარებულია მოგება-ზარალში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებას და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი აღიარებისას გამოთვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECLs) რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის შესაბამისად გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, რომელიც დისკონტირებულია დაახლოებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს არსებული უზრუნველყოფის ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფების გაყიდვიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs) აღიარებულია ორ ეტაპად. საკრედიტო მოცულობისთვის, როდესაც არ არის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარებისას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs) წარმოდგენილია საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც გამომდინარეობს დეფოლტის შემთხვევებიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs)). იმ საკრედიტო მოცულობისთვის, როდესაც არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა თავდაპირველი აღიარებისას, მოითხოვება ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დანარჩენ ვადაში, დეფოლტის დროის მიუხედავად (სასიცოცხლო ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია წარმოადგენს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფულადი და საბანკო ნაშთებისთვის.

კოლექტიურად შეფასებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECLs) გამოსათვლელად. აქედან გამომდინარე კომპანია არ ახდენს შესწორებებს საკრედიტო რისკში, თუმცა ამის ნაცვლად აღიარებს ზარალის რეზერვს (სასიცოცხლო ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე თითოეული ანგარიშგების დღეს. კომპანიამ შექმნა რეზერვის მატრიცა, რომელიც ეფუძნება თავდაპირველ საკრედიტო ზარალს, კორექტირებულია მომავალზე ორიენტირებული ფაქტორებზე მოვალეებისთვის და ეკონომიკური გარემოსთვის. კოლექტიურად შეფასებულია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები საწვავის რეალიზაციიდან.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის კომპანია აფასებს დეფოლტის პარამეტრის უპირობო ალბათობის რისკის პარამეტრებს, რისკის პარამეტრებს დეფოლტის შემთხვევაში და ზარალის პარამეტრს დეფოლტის შემთხვევაში. როდესაც შედარებითი მიდგომის გამოყენება შეუძლებელია კომპანია იყენებს კოლექტიურად შეფასების რისკის პარამეტრებს მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად. ერთ-ერთი მთავარი მონაცემი შედარებითი მიდგომის გამოყენების მიზნებისთვის, არის გარე რეიტინგების მოპოვება ან შედარება კონტრაგენტის ფინანსური კოეფიციენტის ანალიზის გამოყენებით. კომპანია იკვლევს გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას ღია წყაროების მეშვეობით, მათ შორის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებ-გვერდებით: Moody's, Fitch და S&P's. თუ გარე რეიტინგი არ არის ხელმისაწვდომი, კომპანია მოიპოვებს კონტრაგენტის ფინანსურ ანგარიშგებას, განსაზღვრავს შედარებით რეიტინგს ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე. Moody's ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით.

ხელმძღვანელობის მოსაზრებით თითოეული სესხის საკრედიტო რისკის განსაზღვრისთვის საჭიროა ხარვეზების და ძალისხმევების გამოყენება თავდაპირველი აღიარების შესაბამისი თარიღებისთვის. კომპანიამ განსაზღვრა სრული ვადიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ECL - რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევიდან ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადაში (მითითებულია, როგორც 2 ეტაპი და 3 ეტაპი). გაცემული სესხები ნაწილდება 2 ეტაპზე. PD შეფასებების მიდგომისთვის კომპანია იყენებს თავდაპირველ PDS რომელიც წარმოდგენილია სარეიტინგო სააგენტოების მიერ. კომპანია გამოთვლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხას სხვა დებიტორულ დავალიანებებზე ექსპერტის შეფასების გამოყენებით განსაზღვრული ზარალის კოეფიციენტების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება გონივრულად ჩაითვალია თავდაპირველი ინფორმაციის არარსებობის გამო, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მატრიცის შექმნა. გაუფასურების კოეფიციენტები მრავლდება მისაღებ ნაშთზე იმ პერიოდში, როდესაც გამოითვლება თანხა, რომელიც ითვლება აუნაზღაურებლად.

ყველა შემთხვევაში კომპანია თვლის, რომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნის ვადაგადაცილებულია.

კომპანია თვლის ფინანსურ აქტივს დეფოლტად, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდები 90 დღით არის ვადაგადაცილებული. თუმცა კონკრეტულ შემთხვევებში კომპანია ფინანსურ აქტივს ასევე თვლის დეფოლტად, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს, რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს სახელშეკრულებო დავალიანების თანხას სრულად კომპანიის ნებისმიერი საკრედიტო უზრუნველყოფის გათვალისწინებამდე.

არაინკასირებადი აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის მიმართ აქტივის ამოღების ყველა პროცედურის დასრულებისა და ზარალის ოდენობის დადგენის შემდეგ. უკვე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღირიცხება წლის მოგება-ზარალის გაუფასურების ზარალის ანგარიშში.

მარაგები - მარაგები წარმოდგენილია მის ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას გასაყიდ ფასს გამოკლებული შეფასებული დასრულების ღირებულება და რეალიზაციის ხარჯები.

რეზერვები - რეზერვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ წარსულში მომხდარი შემთხვევის გამო, კომპანიას გააჩნია სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, და ასევე არსებობს ალბათობა, რომ მოხდება ეკონომიკურ სარგებელთან დაკავშირებული სახსრების გადინება აღნიშნული ვალდებულების დაფარვის მიზნით და შესაძლებელი იქნება ვალდებულების მოცულობის სათანადო შეფასება.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანგარიშგების თრიღისთვის არსებული ვალდებულებების გადახდისთვის საჭირო ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკების და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი გამოითლება ფულადი სახსრების გამოყენებით, რომლებიც შეფასებულია არსებული ვალდებულების გადასახდელად, მისი საბალანსო ღირებულება არის აღნიშნული ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება.

როდესაც რეზერვის გადასახდელად საჭირო რამდენიმე ან ყველა ეკონომიკური სარგებელის ანაზღაურება მოსალოდნელია მესამე მხარისგან, დებიტორული დავალიანებები აღიარებულია აქტივად თუ ვირტუალურად ცხადია, რომ ანაზღაურება მიიღება და შესაძლებელი იქნება მისაღები თანხების სარწმუნოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები – პირობითი აქტივები და ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში. ისინი წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგებას შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეკონომიკური სარგებელის მქონე რესურსების გადინების შესაძლებლობა ნაკლებია. პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგებას შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებელის შემოღინება.

კლასიფიკაცია სავალო ან წილობრივ ინსტრუმენტად – კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალად საკონტრაქტო შეთანხმებების არსის და ფინანსური ვალდებულების და წილობრივი ინსტრუმენტის დეფინიციის შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები – წილობრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ადასტურებს პირის აქტივებში ნარჩენ წილს ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტი აღიარებულია მიღებულ შემოსავლებად, პირდაპირი გამოშვების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვა აღიარებულია და დაქვითულია პირდაპირ კაპიტალში. მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული მოგება-ზარალში კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების საფუძელზე.

სააქციო კაპიტალი – სააქციო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

დივიდენდები – დივიდენდები აღიარებულია მფლობელის კაპიტალში, როგორც შემცირება მათი გამოცხადების პერიოდში. ანგარიშგების თარიღის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდები ითვლება შემდგომ მოვლენად და შესაბამისად გამჟღავნებულია.

ი გადახდები კლიენტებისთვის – ი გადახდები კლიენტებისთვის მითითებულია თვითღირებულებით, მინუს შეფასებული აუნაზღაურებადი თანხების რეზერვი.

მიღებული ავანსები – მიღებული ავანსები მოიცავს საწვავისთვის ავანსად მიღებულ ფულს და სხვა მიღებულ ავანსებს. მიღებული ყველა თანხა არ არის აღრიცხული შემოსავლად სანამ კლიენტებს არ მიეწოდება შესაბამისი პროდუქტები ან მომსახურებები.



სადავო ანგარიშგება

სს ლილი 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

6. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია 5 შენიშვნაში, ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს ვარაუდები, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სხვა წარების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება მიღებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებები და დაშვებები გადაიხედება რეგულარულად. შესწორებები სააღრიცხვო შეფასებებში აღიარებულია გადახედვის პერიოდში იმ შემთხვევაში, თუ შესწორება ეხება მხოლოდ აღნიშნულ პერიოდს ან გადახედვის პერიოდში და მომავალ პერიოდებში, თუ შესწორება ეხება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ პერიოდს.

შეფასების გაურკვევლობის ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეფასება - ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირობითი ღირებულებით პირველი სრული ფასს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის.

ინფორმაცია შეფასების მეთოდოლოგიის და ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული მონაცემების შესახებ მითითებულია ქვემოთ: შემფასებელმა ექსპერტებმა გამოიყენეს საბაზრო მიდგომა საინვესტიციო ქონების შეფასებისთვის. ძირითადი საშუალებების შეფასებისთვის ექსპერტებმა გამოიყენეს საბაზრო და ღირებულებითი მიდგომა. ამასთან ექსპერტმა შეაფასა იდენტიფიცირებული საოპერაციო აქტივები ეკონომიკურ გაუფასურებაზე, რომელმაც შექმნა ფულადი სახსრების მაგნიტუდის ერთულის დოსკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის ("DCF") გამოყენებით.

აქტივების დოსკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით ("DCF") შეფასება მოიცავს ფულის დროითი ღირებულების კონცეფციას და ეფექტურად ახდენს ქონების მიმდინარე და მომავალი შემოსავლის კაპიტალიზაციას. კაპიტალიზაციის შემოსავალი ასახავს ქონების კონკრეტული რისკის პროფილს მიმდინარე შემოსავლების, მიმდინარე და მომავალი საიჯარო ნულოვანის პერიოდების გათვალისწინებით კაპიტალის ზრდის მომავალ მოლოდინებთან ერთად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა - ძირითადი საშუალებების კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება არის ხელმძღვანელობის შეფასების საგანი მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის გამოთვლისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ დაბეჭდვას, ფიზიკურ ცვეთას და ამორტიზაციას და იმ ფიზიკურ გარემოს სადაც აქტივი არის ექსპლუატაციაში. ცვლილებებმა აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში შესაძლოა გამოიწვიოს მომავალი გაუფასურების კოეფიციენტების კორექტირებები.

დაბეჭდვა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის და ცვლილებების საფუძველს. გარდა ამისა ხელმძღვანელობის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, ტრანზაქციები შესაძლოა სადავო გახდეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან და ამის შედეგად ფილიალს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. ფილიალი თვლის რომ განახორციელა ყველა გადასახადის გადახდა და რომ აქედან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში არანაირი ცვლილება არ შესულა. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ შემოწმების ჩატარება სამი წლის განმავლობაში.



სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

სასამართლო წარმოებების რეზერვები - სასამართლო წარმოებების რეზერვების შეფასება არის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საგანი. შესაძლო რეზერვების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს სასამართლო წარმოებების მოსალოდნელ შედეგებს, რისკებს და გაურკვეველობებს სარჩელების შესახებ.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ რეზერვი არსებობს სასამართლო წარმოებების ყველა შესაძლო უარყოფითი შედეგისთვის (შენიშვნა 15) ფინანსურ ანგარიშგებაში.

7. შემოსავალი

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის შემოსავალი შეადგენდა:

	2018	2017
შემოსავალი საწყობის მომსახურებიდან	3,474	3,580
შემოსავალი ლოჯისტიკის მომსახურებიდან	1,269	1,394
შემოსავალი შენახვის მომსახურებიდან	782	481
სხვა	70	52
სულ	5,595	5,507



გაბრიელ ქიქოძე

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

2018. და 2017. წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები შეადგენდა:

	2018	2017
კომუნალური	518	459
საგადასახადო ხარჯები	232	231
პროფესიული მომსახურებები	276	150
ტექ. მომს. ხარჯები	168	80
დაცვის ხარჯები	158	161
სხვა	211	208
სულ	1,563	1,289

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	დანადგარები და მოწყობილობა	ტრანსპორტი	ოფისის მოწყობილობა	სხვა ფიქს. აქტივები	სულ
ხარჯი							
2017 წლის 1 იანვარს	4,183	4,376	2,233	11	64	104	10,971
დანარიცხები	-	191	34	-	4	20	249
გასხივებები	-	-	-	-	(2)	-	(2)
2017 წლის 31 დეკემბერს	4,183	4,567	2,267	11	66	124	11,218
დანარიცხები	-	439	277	-	8	11	735
გასხივებები	-	-	(94)	-	-	-	(94)
2018 წლის 31 დეკემბერს	4,183	5,006	2,450	11	74	135	11,859
დარიცხული ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 1 იანვარს	-	-	-	-	-	-	-
ხარჯი წლის განმავლობაში	-	1,154	1,525	8	26	21	2,734
2017 წლის 31 დეკემბერს	-	1,154	1,525	8	26	21	2,734
ხარჯი წლის განმავლობაში	-	611	429	3	15	24	1,082
შეფასებული გასხივებები	-	-	(68)	-	-	-	(68)
2018 წლის 31 დეკემბერს	-	1,765	1,886	11	41	45	3,748
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 1 იანვარს	4,183	4,376	2,233	11	64	104	10,971
2017 წლის 31 დეკემბერს	4,183	3,413	742	3	40	103	8,484
2018 წლის 31 დეკემბერს	4,183	3,241	564	-	33	90	8,111

კომპანიის ძირითადი საშუალებების შეფასება განახორციელა დამოუკიდებელმა პროფესიონალმა შემფასებელმა ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. შეფასება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განახორციელა დამოუკიდებელმა შემფასებელმა 2019 წლის 29 ოქტომბერს. კომპანიამ მიიღო გამოწვევის ფასს 1-ის შესაბამისად პირველადი შეფასებული სამართლიანი ღირებულება, ძირითადი საშუალებების ღირებულებად გამოყენების შესახებ მიღების დღეს - 2017 წლის 1 იანვარს.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა დამოუკიდებელმა ექსპერტმა აღიარებული შეფასების მეთოდის გამოყენებით. ექსპერტებმა მიიღეს საბაზრო და ღირებულებითი მიდგომა ძირითადი საშუალებების შეფასებისას.

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)



Handwritten signature

სს ლილო 1

ფინანსურ ანგარიშგებათან დაკავშირებული შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელება)
(ათასლარში)

2018, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივები შეადგენდა 3,140 ათას ლარს, 1,700 ათას ლარს და ნულს.

კომპანიამ დააგირავა მიწა და შენობები ბანკის სესხის უზრუნველყოფისთვის (იხილეთ შენიშვნა 14)
2018, 2017 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

10. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
ხარჯი			
2017 წლის 1 იანვარს	2,950	622	3,572
დანარიცხები	-	-	-
გასხვისებები	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრს	2,950	622	3,572
დანარიცხები	-	-	-
გასხვისებები	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრს	2,950	622	3,572
დარიცხული ცვეთა			
2017 წლის 1 იანვარს	-	-	-
ხარჯი წლის განმავლობაში	-	13	13
შეფასებული გასხვისებებზე	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრს	-	13	13
ხარჯი წლის განმავლობაში	-	13	13
აღმოფხვრილი გასხვისებებზე	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრს	-	26	26
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვარს	2,950	622	3,572
2017 წლის 31 დეკემბრს	2,950	609	3,559
2018 წლის 31 დეკემბრს	2,950	596	3,546

საინვესტიციო ქონება მოიცავს მიწას და შენობებს, რომელიც მდებარეობს ზაქესის რაიონში, საქართველოში, თავისუფალი მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 53,040 m² და შენობებს.

